ძვირფასო კოლეგებო!

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ **EESC FETP-Intermediate (საველე ეპიდემიოლოგიის სასწავლო პროგრამა აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასის ქვეყნებისთვის)** აცხადებს მენტორების მიღებას მეორე კოჰორტის რეზიდენტებისთვის ხუთი ქვეყნიდან (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, სომხეთი და უკრაინა). სასწავლო პროგრამა დაიწყება 2023 წლის იანვარში. ეროვნული მენტორების მცირე ჯგუფი შეირჩევა ყოფილი FETP-ის კურსდამთავრებულთა რიგებიდან, რათა მათ გაუწიონ დახმარება მეორე კოჰორტის რეზიდენტებს სასწავლო პროგრამის განმავლობაში, გაუზიარონ საკუთარი ცოდნა, კონსტრუქციული უკუკავშირი და მისცენ რეზიდენტებს პროფესიული და პირადი რჩევები როგორც პროგრამის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

მენტორების შერჩევის კრიტერიუმები

მენტორების შერჩევის კრიტერიუმები

1. FETP კურსდამთავრებული (FETP-Advanced ან ექვივალენტი პროგრამა)
2. საველე ეპიდემიოლოგიის გამოცდილება და ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა
3. საკმარისი დრო და რეზიდენტისთვის დახმარების გაწევის სურვილი
4. რუსული ენის თავისუფლად ცოდნა აუცილებელია, სასურველია ინგლისური ენის საშუალო დონე. ინგლისური ენის თავისუფლად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.
5. ძლიერი ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი პრობლემის გადაჭრის ეფექტური ტექნიკა, ლოგიკური სტრუქტურირების პრაქტიკა და კრიტიკული აზროვნების წახალისება

FETP მენტორების მოსალოდნელი პასუხისმგებლობა

1. მენტორი უნდა დაესწროს მენტორებისთვის განკუთვნილ ორ სემინარს (ადგილზე, არა ონლაინ), რათა განიხილონ მენტორის როლები და პასუხისმგებლობები და დაეხმარონ საჭირო კომპეტენციების განვითარებას
2. მან უნდა იკისროს მენტორის პასუხისმგებლობა 2-3 რეზიდენტისთვის მთლიანი 10 კვირიანი კურსისა და საველე სამუშაოების განმავლობაში
    - ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება რეზიდენტებში ნდობის ჩამოყალიბებით;
    - რეზიდენტებისთვის რჩევების მიცემა და მათი პროფესიული და პირადი გამოცდილების გაზიარება FETP პროგრამასთან დაკავშირებით;

- ემოციური და მორალური მხარდაჭერა, კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების გაწევა, რეზიდენტების პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა.
- ქმედითი, კონსტრუქციული და დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა

3. რეზიდენტებისთვის დახმარების გაწევა პროფესიული შესაძლებლობების მოპოვებაში
4. საველე პროექტების წარმართვა, ეპიდემიოლოგიური კონცეფციების განხილვა, საჭიროებისამებრ ეპიდემიოლოგიური ექსპერტიზის გამოყენებით და ცოდნის დემონსტრირება საველე ეპიდემიოლოგიურ პრაქტიკაში
5. FETP-ის დირექტორატისთვის რეზიდენტების პროგრესის ანგარიშისა და შეფასებების მიწოდება
6. კურსის განმავლობაში მენტორებს მოუწევთ დაესწრონ მენტორთა ორ სემინარს, რათა დაეხმარონ საჭირო კომპეტენციების შემუშავებას.

მენტორების სემინარი	
ღონისძიება	*თემები*
სემინარი 1	მენტორობა: პროგრამის წარმატების მთავარი ფაქტორი როგორ გავხდეთ მენტორი მენტორის როლები და პასუხისმგებლობები მენტორის კომპეტენციები მენეჯმენტის გზამკვლევი რთულ რეზიდენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში TOT - ზრდასრულთა სწავლების პრინციპები
სემინარი 2	ლიდერობის უნარები მენტორებისთვის, რათა წარმატებით წარმართონ და დახმარება გაუწიონ რეზიდენტს კონფლიქტის მენეჯმენტი პრობლემის ანალიზი და კრიტიკული აზროვნება ობიექტური ანალიზი და სიტუაციის ანალიზი პროექტის მენეჯმენტი საველე ეპიდემიოლოგებისთვის

განრიგის მიმოხილვა მენტორებისთვის			
ღონისძიება	*ღონისძიების თარიღები*	*ხანგრძლივობა*	*ადგილმდებარეობა*
სემინარი 1	დეკემბერი, 2022	1 კვირა	საქართველო

სემინარი 2	მარტი, 2023	1 კვირა	საქართველო

მენტორის ატესტაცია/სერტიფიცირება ჩატარდება იმ სამუშაოს შედეგების საფუძველზე, რომელიც შეფასდება კოჰორტის ბოლოს მენტორის კომპეტენციების შევსების გზით.

მენტორების შერჩევის პროცესი

1. კანდიდატებმა უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ოქტომბერი
2. კანდიდატმა უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე https://www.surveymonkey.com/r/FETP_I_Application
3. კანდიდატმა უნდა ატვირთოს შემდეგი საბუთები:

- რეზიუმე (CV)
- პროფესიული ლიცენზიის და აკადემიური ხარისხის დადასტურება.
- სარეკომენდაციო წერილები იმ პირებისგან, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კანდიდატების პროფესიულ კარიერასთან ან/და იმ ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისგან, სადაც მუშაობენ კანდიდატები.
- სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 1 გვერდისა/800 სიტყვა) FETP-ში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
    - რა არის თქვენი მოტივაცია, რომ მონაწილეობა მიიღოთ პროგრამაში, როგორც მენტორი?
    - როგორ მოგამზადათ და წაგაქეზათ თქვენმა განათლებამ და პროფესიულმა გამოცდილებამ იმაში, რომ გახდეთ FETP-ის მენტორი?
    - როგორია თქვენი პროფესიული მიზნები და ხედვა უახლოეს წლებში თქვენი კარიერული განვითარების შესახებ?

მენტორის შერჩევის ვადები

1. განაცხადის მიღების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით
2. გასაუბრებსათვის შერჩეული კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან პირადად ან ტელეფონით არაუგვიანეს 2022 წლის 1 ნოემბრისა.
3. კანდიდატებს შესთავაზებენ წერილობით ონლაინ ტესტირებას ენის ცოდნაზე (რუსული/ინგლისური) 2022 წლის 7-9 ნოემბერს.
4. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდება 2022 წლის 10-17 ნოემბერს.
5. გასაუბრების შედეგების მიხედვით შერჩეულ კანდიდატებს შესთავაზებენ კომპეტენციის ტესტს მენტორის მიერ მოთხოვნილი ძირითადი

კომპეტენციების ფლობის შესაფასებლად. კომპეტენციის ტესტის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი საათია და ის ჩატარდება 2022 წლის 21 ნოემბერს.

6. საბოლოო შერჩევა მოხდება რეზიუმესა და კანდიდატებთან გასაუბრების და ენისა და კომპეტენციების ტესტების შედეგების საფუძველზე 2022 წლის 23 ნოემბრამდე.
7. კანდიდატებს ეცნობებათ ოფიციალურ წერილით და ელექტრონული ფოსტით შერჩევის პროცესის შედეგის შესახებ 2022 წლის 5 დეკემბრამდე.

მოგზაურობისა და განთავსების ყველა ხარჯი იქნება კოორდინირებული და დაფარული EESC FETP-I პროგრამის სახსრებიდან.